მითი 1

ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა გამოიწვევს ეკონომიკურ სირთულეებს.

არ შეესაბამება სიმართლეს: რეალურად, საქართველო მიიღებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს ახალი სავაჭრო შესაძლებლობებითა და მსოფლიოს უდიდეს ბაზართან მარტივი წვდომით. ასოცირების შესახებ შეთანხმება გარკვეულ ვალდებულებებთან არის დაკავშირებული, თუმცა, უაღრესად მნიშვნელოვანია შესაბამისი ინსტიტუციური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება პოზიტიურ გავლენას იქონიებს საქართველოს მიმართ უცხოელი ინვესტორების დამოკიდებულებაზე და შესაბამისად, ხელს შეუწყობს საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას.

2012 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, აღნიშნული შეთანხმების განხორციელება ხელს შეუწყობს მშპ-ს დამატებით ზრდას 4.3%-ით. აღნიშნული დამატებითი ეკონომიკური ზრდა, ასევე წარმოქმნის დამატებით სახელმწიფო ფინანსებს, საგადასახადო და საბაჟო შემოსავლების მატების საფუძველზე.

ევროკავშირთან შეღავათიანი სავაჭრო შეთანხმებების ყველა პარტნიორმა ქვეყანამ (სამხრეთ აფრიკა, მექსიკა, ჩილე, მოროკო, და ა.შ.) მიიღო სარგებელი ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის გაფართოებით და ამ ქვეყნების ვაჭრობის ზრდის მაჩვენებელმა, საშუალო/გრძელვადიან პერიოდში, ორციფრა ნიშნულს მიაღწია.

მითი 2

ქართული კომპანიები ვერ დააკმაყოფილებენ ევროკავშირის სტანდარტებსა და რეგულაციებს. შესაბამისად, გართულდება ევროკავშირში ექსპორტის განხორციელება და, ამავდროულად, საქართველოს შიდა ბაზარზეც ვერ გაუწევენ კონკურენციას ევროკავშირის კომპანიებს.

არ შეესაბამება სიმართლეს: მართალია, შეთანხმება ქართველი მწარმოებლებისგან მოითხოვს ევროკავშირის სტანდარტებზე გადართვას. თუმცა, ეს ცვლილებები განხორციელდება ეტაპობრივად და, შესაბამისად, შესრულებადია. ამ ცვლილებების შედეგად, ქართული კომპანიები მიიღებენ მარტივ წვდომას ევროკავშირის ბაზარზე და გაიზრდება მათი კონკურენტუნარიანობა გლობალურ დონეზე.

ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესში საქართველო დანერგავს ევროკავშირის სტანდარტებს. მნიშვნელოვანია, რომ კერძო კომპანიებმა განახორციელონ საჭირო ცვლილებები და მოახდინონ ინვესტირება, რაც საშუალებას მისცემს მათ აწარმოონ უკეთესი ხარისხის პროდუქცია. ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოება განხორციელდება თანმიმდევრულად, რამდენიმე წლის განმავლობაში.

აღნიშნული პროცესი, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაცია ვერ განხორციელდება ინვესტიციების გარეშე. შესაბამისად, საჭიროა მნიშვნელოვანი მოცულობის ინვესტიციების განხორციელება ქართული კომპანიების, უცხოელი ინვესტორების, მთავრობისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან. ასეთი ინვესტიციები, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით. თავის მხრივ, ამ ინვესტიციების მოზიდვას ხელს შეუწყობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცით (DC FTA) მიღებული პერსპექტივები. საგულისხმოა, რომ ქართული ექსპორტის 20% ევროკავშირის ქვეყნებში ხორციელდება, რაც მეტყველებს ქართული კომპანიების უნარზე ადაპტირება მოახდინონ ევროკავშირის სტანდარტებთან და განახორციელონ ექსპორტი. ევროკავშირის ბაზარი მსოფლიოში უდიდესია, დაახლოებით, 500 მლნ. მაღალი მსყიდველობითუნარიანი მოსახლეობით. ამდენად, ნათელია რომ ასოცირების შეთანხმებით საქართველო გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე ევროკავშირი.

მითი 3

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და უვიზო მიმოსვლა გამოიწვევს საქართველოდან შრომითი რესურსების, მათ შორის კვალიფიციური მუშახელის გადინებას ევროკავშირის ქვეყნებში.

არ შეესაბამება სიმართლეს: ასოცირების შესახებ შეთანხმების არც ერთი დებულება, რომელიც, გარკვეულწილად, კავშირშია ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების გადაადგილებასთან, არ ითვალისწინებს ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების დასაქმების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ ხელშეკრულება (ხელი მოეწერა 2010 წლის ივნისში, ძალაშია 2011 წლის მარტიდან) ამარტივებს ვიზის მიღების პროცესს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისთვის და მას არაფერი აქვს საერთო ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების დასაქმების პერსპექტივებთან. ამასთან ერთად, უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა, იძლევა ევროკავშირის ქვეყნებში ვიზის გარეშე (სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების, მათ შორის ბიომეტრიული პასპორტები) მხოლოდ მოგზაურობის და არა მუდმივი ბინადრობისა და დასაქმების შესაძლებლობებს.

მითი 4

ასოცირების შეთანხმების გაფორმება წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ალტერნატივას.

არ შეესაბამება სიმართლეს: ასოცირების შესახებ შეთანხმება ღიად ტოვებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს. თუმცა, შეთანხმების განხორციელება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას.

ევროკავშირის შესახებ შეთანხმების 49-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც პატივს სცემს იმ პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი, აქვს უფლება გააკეთოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. ევროკავშირში გაწევრიანება მოითხოვს კანდიდატ ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის უზრუნველმყოფი ინსტიტუტების არსებობას, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების დაცვას და პატივისცემას; ასევე, ქვეყანას უნდა გააჩნდეს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა და ჰქონდეს ევროპის შიდა საბაზრო კონკურენციასთან გამკლავების შესაძლებლობა. ასოცირების შეთანხმების განხორციელება ხელს შეუწყობს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის აუცილებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას.

10 მითი

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესახებ

პუბლიკაცია მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ შიდა პროექტის „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმების შესაძლებლობათა გაზრდა„ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებული ევროკავშირის მიერ.

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“
ჭოველიძის ქუჩა N10;
თბილისი 0108,
ტელ: (+995 32) 225 04 63
ფაქსი: (+995 32) 229 10 52

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ
გუდიაშვილის ქუჩა # 7;
თბილისი 0501
ტელ/ფაქსი: (+995 32) 297 16 17

მითი 5

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება საფრთხეს უქმნის ჩვენი კულტურული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

არ შეესაბამება სიმართლეს: ასოცირების შეთანხმება არ შეიცავს კულტურული იდენტობისა და თვითმყოფადობის შემლახველ დებულებებს.

კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნების ხელშეწყობა ევროკავშირის მთავარი პრიორიტეტია. ევროკავშირის სიძლიერე და მიმზიდველობა სწორედ მის კულტურულ და ეროვნულ მრავალფეროვნებაშია. შესაბამისად, კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, ევროკავშირის ცალკეული მიმართულებებით პოლიტიკის ფორმირების ამოსავალი წერტილია. ევროკავშირი აერთიანებს 28 სახელმწიფოს, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ კულტურის სფეროში. ამის მიუხედავად, გერმანელები გერმანელებად რჩებიან, ფრანგები ფრანგებად, ესტონელები ესტონელებად და ა.შ. ასოცირების შესახებ შეთანხმება, პირიქით, ევროკავშირის ქვეყნებში ქართული კულტურული მიღწევებისა და უნიკალურობის პოპულარიზაციას და, ზოგადად, კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული, თავის მხრივ, საქართველოს უფრო მიმზიდველს გახდის ევროკავშირის მოქალაქეებისთვის.

მითი 6

ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება საფრთხეს უქმნის მართლმადიდებლობას, ასევე, დაკნინდება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი.

არ შეესაბამება სიმართლეს: ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და მისი განხორციელება არანაირ საფრთხეს არ უქმნის როგორც ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, ისე საქართველოს მართლმადიდებელ მოსახლეობას.

ევროკავშირში გაწევრიანებული არიან მართლმადიდებლური სამყაროს ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნები, როგორებიცაა საბერძნეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ბულგარეთი. ამასთან ერთად, ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის - სერბეთის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია. შესაბამისად, ევროკავშირში გაწევრიანებას ზემოაღნიშნული ქვეყნების მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, ისევე როგორც ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის რაიმე სახის საფრთხე არ შეუქმნია. თუ ზემოაღნიშნულ ქვეყნებში არ დამდგარა ასეთი პრობლემა, რატომ უნდა გახდეს საქართველო გამონაკლისი?

მითი 7

ასოცირების შესახებ შეთანხმება აიძულებს საქართველოს დაუშვას ერთსქესიანთა ქორწინება.

არ შეესაბამება სიმართლეს: ევროკავშირი საქართველოსგან არ ითხოვს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. ევროკავშირის უმეტეს ქვეყანაში არ არის დაშვებული ერთსქესიანთა ქორწინება. ერთსქესიანთა ქორწინება არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრობის მოთხოვნას და არაფერი აქვს საერთო ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს გააჩნიათ სხვადასხვა ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით: მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა სცნობს ერთსქესიანთა ქორწინებას, ხოლო უმრავლესობა (კვიპროსი, ესტონეთი, საბერძნეთი, მალტა, რუმინეთი, სლოვაკეთი) არ ცნობს და, მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუციით არის აკრძალული (ბულგარეთი, ხორვატია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი).

მითი 8

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ხელს შეუშლის საქართველოს ჰქონდეს თავისუფალი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან.

არ შეესაბამება სიმართლეს: თუ საქართველოს სურს შეინარჩუნოს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან, ეს შესაძლებელია ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შემდეგაც. ამასთან, საქართველოს რჩება შესაძლებლობა თავად განსაზღვროს საკუთარი სავაჭრო პოლიტიკა.

იმ ქვეყნებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, შეუძლიათ სხვა ნებისმიერ ქვეყნასთან მოაწერონ ხელი ანალოგიურ შეთანხმებას. მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ ერთდროულად რამდენიმე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოაწერონ ხელი და აწარმოონ დამოუკიდებელი სავაჭრო პოლიტიკა. ევროკავშირს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების საკმაოდ ფართო ქსელი.

ამჟამად, ევროკავშირი აწარმოებს მოლაპარაკებებს სავაჭრო შეთანხმებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, იაპონიასთან, ინდოეთთან და ა.შ. ასევე, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს შეინარჩუნოს და განავითაროს სავაჭრო თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან, რადგან ეს ეკონომიკური კავშირები მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და ხელს არ უშლის საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ საქართველოს შეუძლია ჰქონდეს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, საქართველო ვერ გახდება ნებისმიერი სხვა ქვეყნების მონაწილეობით შექმნილი საბაჟო კავშირის წევრი. საბაჟო კავშირში (მაგალითად, რუსეთის მიერ შექმნილი საბაჟო კავშირში) გაწევრიანების შემთხვევაში საქართველო იძულებული იქნება აწარმოოს ამ კავშირის გადაწყვეტილებების შესაბამისი სავაჭრო პოლიტიკა და შემოიღოს მისი საბაჟო ტარიფები, რაც შეუძლებელს ხდის ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობაზე ორმხრივი შეთანხმების არსებობას. გარდა ამისა, ნებისმიერ საბაჟო კავშირში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველოს შესაძლებელია მოუწიოს კომპენსაციის გადახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის იმ წევრი ქვეყნებისთვის, რომლებზეც უარყოფითად აისახება აღნიშნული ცვლილებები საქართველოში ექსპორტისას.

მითი 9

თუ ასოცირების შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერება, ევროკავშირის სტანდარტების შემოღების გათვალისწინებით, ხელი შეეშლება საქართველოს ექსპორტს სხვა ქვეყნებში, ასევე სხვა ქვეყნების კომპანიებთან თანამშრომლობას.

არ შეესაბამება სიმართლეს: ევროკავშირის კომპანიებისთვის ევროკავშირის სტანდარტები სხვა ქვეყნებში ექსპორტის განსახორციელებლად ან სხვა კომპანიებთან თანამშრომლობისთვის არ არის დაბრკოლება. ამდენად, რატომ უნდა შეექმნას პრობლემები ქართულ კომპანიებს? ქართული კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ექსპორტს სხვა ქვეყნების ბაზარზე და თანამშრომლობენ სხვა კომპანიებთან, ამას ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების შემდეგაც შეძლებენ (თუ პოლიტიკური მოტივაციებით არ განხორციელდა აკრძალვები და შეზღუდვები).

ევროკავშირის სტანდარტები ამარტივებს სხვა ქვეყნების სტანდარტების დაკმაყოფილებას. ინვესტიციები, რომლებიც საჭიროა საქართველოს მოძველებული საწარმოების მოდერნიზაციისთვის, არ იქნება დაკარგული. ქართული კომპანიები, რომლებიც სხვა ქვეყნების ბაზრისთვის აწარმოებენ პროდუქციას, შეძლებენ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების შემდეგაც წარმოების გაგრძელებას. ძირითადი ცვლილება შეეხება შიდა წარმოებას. ქართულმა კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ წარმოების მოდერნიზაცია, რათა პროდუქცია შეესაბამებოდეს ევროკავშირის სტანდარტებს. თუმცა, ეს არ იმოქმედებს იმ პროდუქციაზე, რომელიც მხოლოდ სხვა ქვეყნების ბაზარზე ექსპორტისთვის იწარმოება. საქართველოს მოსახლეობისთვის, ევროკავშირის სტანდარტების შემოღება გააუმჯობესებს არა მხოლოდ შიდა წარმოების საქონლის ხარისხს და უზრუნველყოფს ევროკავშირის ბაზარზე წვდომას, არამედ ასევე გაზრდის ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას სხვა საერთაშორისო ბაზრებზე (აშშ, ჩინეთი, ახლო აღმოსავლეთი).

მითი 10

ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების შედეგად, ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას მოუწევს ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებაზე უარის თქმა.

არ შეესაბამება სიმართლეს: ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების შემდეგ საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის გაკეთება არ უკავშირდება ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებაზე უარის თქმას.

ასოცირების შეთანხმებაში ცალსახად აღნიშნულია, რომ ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის უფრო აქტიურ ჩართულობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე საქართველოს მიერ სურვილის გაცხადების შემთხვევაში, არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ევროკავშირმა შეცვალოს ზემოაღნიშნული დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და, შესაბამისად, გაწევრიანების სანაცვლოდ საქართველოს მოუწიოს უარის თქმა ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებაზე.